საქართველო კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

შპს „სილქ მედიას“ 2023 წლის ანგარიში საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციის პირობებისა და ქცევის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ შპს „სილქ მედიას“, როგორც მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირის 2023 წლის ანგარიშს:

1. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე შპს „სილქ მედიას“ დირექტორის 2020 წლის 18 მაისის NSM01-2020 ბრძანებით შპს „სილქ მედიაში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის დებულება;

2. 2023 წლის განმავლობაში კომპანიაში არ შემოსულა საჩივარი შპს „სილქ მედიას“ მიერ „მაუწყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევის თაობაზე;

3. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლების მხრიდან არ მომხდარა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა;

4. 2023 წლის განმავლობაში, კომპანიის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ტრენინგები:

- მედია აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტებისათვის, თემა: "ამბის უსაფრთხოდ გაშუქება";
- გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი: ვორქშოფი ჟურნალისტებისთვის; თემა მედია პასუხისმგებლიანი ბიზნესისთვის;
- თავდაცვის სამინისტროს ტრენინგი ჟურნალისტებისთვის: “ღირსეული პასუხი 2023”;
- WFD და UKAID-ის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების საკითხების გაშუქება, პირველი მედია ბუთქემფი საქართველოში;
- ტრი მედია ინტელიჯენსის (TMI) მიერ, განხორციელდა სოციალური კვლევების პლატფორმა კანტარ მედიას სოფტზე მუშაობას და ანალიზში.
- ტრენინგი სისტემური ადმინისტრატორებისთვის:
  ა) კომპანია GRENA-ს მიერ ჩატარდა: LPIS Linux-ის კურსი;
  ბ) კომპანიაGREENTEST-ის მიერ, ჩატარდა: Installation storage and compute with windows server 2016.
- ვიჟენჰაუზის მიერ ინჟინრებისთვის ჩატარდა AVID -ის სისტემის გამოყენებითი ზოგადი კურსი.
- კომპანიის ჟურნალისტები დაესწრნენ UPF Géorgie-ის მედიაგანათლების ტრენინგს;
- OSCE High Commissioner For National Minorities - კონფლიქტების პრევენცია და ადრეული გაფრთხილების მექანიზმის შემუშავება მონაწილეობდნენ ჩვენი პროდიუსერები;
- საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრი - ეროვნული უსაფრთხოება და მედია კომუნიკაციები ტრენინგი ჟურნალისტებისთვის;

- საზოგადოება და ბანკები - ეკონომიკური მედიასკოლა - ტრენინგი ჟურნალისტებისთვის;
- UPF Géorgie-ის 2-დღიანი მედიაგანათლების ტრენინგი ჟურნალისტებისათვის;
- M100 Young European Journalists Workshop 2023 - კლიმატის ცვლილების გაშუქება და მისი მნიშვნელობა დემოკრატიისთვის. პოტსდამი გერმანია.
- მარგარეტ ტეტჩერის ცენტრის ტრენინგი ჟურნალისტებისთვის: Story Telling workshop;
- ტრენინგი - მედიის როლი დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში, კანონის უზენაესობის ცენტრი.

5. კომპანია ტელემაუწყებლობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

6. კომპანიის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კომპანიის დამფუძნებლის, სს „სილქნეტის“ მიერ საწესდებო კაპიტალის შევსება და ასევე შემოსავლები რეკლამიდან და სპონსორობიდან.

ანგარიშს თან ერთვის აუდიტის დასკვნა, მომზადებული „KPMG Georgia LLC”-ის მიერ.